გ

*დანართი №1*

# ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური საშუალო სკოლა

შეფასების თარიღ(ებ)ი 25.06. 2020- 26.06.2020 წ.

დასკვნის წარდგენის თარიღი 22.07.2020 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: --------------------

--------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

## I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია დაწესებულების შესახებ | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება | მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის საშუალო სკოლა |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი |
| საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | **236098209** |

| ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს: | |
|---|---|
| დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | კი |
| საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | კი |
| საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | კი |
| საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა | |
| საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა | |

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | ქ. მცხეთა |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| იურიდიული მისამართი | წერეთლის ქ. 27 |
| ფაქტობრივი მისამართი | წერეთლის ქ. 27 |
| საფოსტო ინდექსი | 3300 |
| დაწესებულების ვებ-გვერდი | atormet-mociquli.ge |
| დაწესებულების ელ-ფოსტა | Atormet-mociquli@mail.ru |
| დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი | (+995 32 )2 51 39 95 |
| **ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)** | არქიმანდრიტი ილია ნასიძე |
| ტელეფონის ნომერი/ფაქსი | 599 57 40 28 |
| ელ-ფოსტა | atormeti@gmail.com |

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი | განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება MES6 20 00391237 19.05.2020 წ. |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 25-26.06.2020 წ. |
| ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი) | ვერა ყურულაშვილი |
| წევრი (სახელი, გვარი) | ნინო მუმლაძე |
| წევრი (სახელი, გვარი) | |
| წევრი (სახელი, გვარი) | |
| წევრი (სახელი, გვარი) | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------

---------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

IV. ვიზიტის შეჯამება

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

| სტანდარტი/ქვესტანდარტი | | ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი | სტანდარტი დაკმაყოფილებულია | სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული |
|---|---|---|---|---|
| **1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები** | | მუხლი 6 | ☒ | ☐ |
| 1.1 | სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას | მუხლი 6/ პუნქტი ა) | ☒ | ☐ |
| 1.2 | სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები | მუხლი 6/ პუნქტი ბ) | ☒ | ☐ |
| 1.3 | სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | მუხლი 6/ პუნქტი გ) | ☒ | ☐ |
| 1.4 | სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად | მუხლი 6 / პუნქტი დ) | ☒ | ☐ |
| 1.5 | შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი | მუხლი 6 / პუნქტი ე) | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------

------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით | | | |
| 1.6 | შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი | **მუხლი 6 / პუნქტი ვ)** | ☒ | ☐ |
| **2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი** | | **მუხლი 7** | ☒ | ☐ |
| 2.1 | დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: | **მუხლი 7 / პუნქტი ა)** | ☒ | ☐ |
| 2.1.1 | ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებგონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით | **მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)** | ☒ | ☐ |
| 2.1.2 | საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა ˙და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით | **მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)** | ☒ | ☐ |
| 2.1.3 | სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი | **მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)** | ☒ | ☐ |
| 2.1.4 | სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები | **მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)** | ☒ | ☐ |
| 2.2. | სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | **მუხლი 7 / პუნქტი ბ)** | ☒ | ☐ |
| 2.3 | სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | **მუხლი 7 / პუნქტი გ)** | ☒ | ☐ |
| 2.4 | სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | **მუხლი 7 / პუნქტი დ)** | ☒ | ☐ |
| 2.5 | სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. | **მუხლი 7 / პუნქტი ე)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------

------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | | | |
| 2.6 | სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | მუხლი 7 / პუნქტი ვ) | ☒ | ☐ |
| 2.6.1 | ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი | მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა) | ☒ | ☐ |
| 2.6.2 | თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა | მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ) | ☒ | ☐ |
| 2.6.3 | სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები | მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ) | ☒ | ☐ |
| 2.6.4 | წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად | მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ) | ☒ | ☐ |
| 2.6.5 | კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული . და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს | მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე) | ☒ | ☐ |
| 2.7 | სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | მუხლი 7/ პუნქტი ზ) | ☒ | ☐ |
| 2.8 | შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | მუხლი 7/ პუნქტი თ) | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------

------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.9 | დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა | მუხლი 7/ პუნქტი ი) | ☒ | ☐ |
| **3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი** | | მუხლი 8 | ☒ | ☐ |
| 3.1 | სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | მუხლი 8 / პუნქტი ა) | ☒ | ☐ |
| 3.2 | სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | მუხლი 8 / პუნქტი ბ) | ☒ | ☐ |
| 3.3 | სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | მუხლი 8 / პუნქტი გ) | ☒ | ☐ |
| 3.4 | მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | მუხლი 8/ პუნქტი დ) | ☒ | ☐ |
| 3.5 | სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | მუხლი 8/ პუნქტი ე) | ☒ | ☐ |
| 3.6 | სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | მუხლი 8/ პუნქტი ვ) | ☒ | ☐ |

## V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.*

| *სტანდარტი* | *საგანმანათლებლო პროგრამები* | *ხარვეზი* |
|---|---|---|
| *ქვესტანდარტი* | *1.1.* | ............. |
| | *1.2.* | .............. |
| | | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: [signature]
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: [signature]

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | | |
|---|---|---|
| სტანდარტი | მატერიალური რესურსი | |
| ქვესტანდარტი | 2.2. | .............. |
| | | |
| | | |
| სტანდარტი | ადამიანური რესურსი | |
| ქვესტანდარტი | 3.1. | |
| | | |

**VI. რეკომენდაციების შეჯამება**

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.*

| სტანდარტი | საგანმანათლებლო პროგრამები | რეკომენდაცია |
|---|---|---|
| ქვესტანდარტი | 1.1. | სასკოლო სასწავლო გეგმის შედგენისას ყურადღება მიექცეს სკოლის საათობრივი ბადის და კლასების მიხედვით მოცემული საათობრიბი ბადის ჟურნალში მოცემული საგნის შესაბამისობას;<br>სასკოლო სასწავლო გეგმის შედგენის დროს გაითვალისწინოს ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემული სასკოლო სასწავლო გეგმის შედგენის ნაწილები და სტრუქტურა; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | | |
|---|---|---|
| | 1.2. | ყურადღება მიაქციოს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნს შემაჯამებელი დავალებების მრავალფეროვნების შესახებ; სადამრიგებლო პროგრამის შემუშავების დროს გაითვალისწინოს მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებანი და ისე დაგეგმოს აქტივობები, შესთავაზოს მოსწავლეებს განსხვავებული ღონისძიებები; |
| | 1.4. | ყურადღება მიექცეს შეფასების რუბრიკების შესაბამისობას ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ მოსწავლეთა შეფასების დონეების მიმართ, ქულების შესაბამისობას მოცემულ კრიტერიუმებთან |
| სტანდარტი | მატერიალური რესურ | |
| ქვესტანდარტი | 2.1. დ | სკოლამ მოახერხოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისათვის უფრო დიდი ფართის და დიდი ზომის ფანჯრის მქონე ადაპტირებული ოთახის გამოყოფა |
| | 2.6.დ. | მოხდეს წესრიგის დაცვის მექანიზმების შეთანხმება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან მოთხოვნის შესაბამისად. |
| | | |
| სტანდარტი | ადამიანური რესურსი | |
| ქვესტანდარტი | 3.3. | გათვალისწინებულ იქნას მასწავლებელთა მიღების დროს ვაკანსიის მასწავლებელთა სახლის ვებ-გვერდზე განთავსების და კონკურსის გამოცხადების აუცილებლობა; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---[signature]---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------
---[signature]---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -------------------

ბ.ა.

| | | |
|---|---|---|
| | | მასწავლებელთა მიმართ წახალისების ან სანქციების გამოყენების პროცესში თანამშრომლების ჩართვის მიზნით შეიქმნას ორგანო,რომელიც განიხილავს მსგავს საკითხებს |
| | 3.5. | სკოლამ შეიმუშაოს მასწვლებელთა პროფესიული განვითარების მექანიზმები |

## VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

| | |
|---|---|
| საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი | |

| | |
|---|---|
| დაწესებულების მისია | მართლმადიდებლური საშუალო სკოლა წარმოადგენს ზოგადსაგანმანათლებლო<br>სასწავლო დაწესებულებას, რომელიც საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური<br>მართლმადიდებლური ეკლესიისა და „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების"<br>შესაბამისად უზრუნველყოფს სწავლის, სწავლებისა და აღზრდის მიზანმიმართულ პროცესს,<br>ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული და მართლმადიდებლური ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლისათვის დადგენილი შესაბამისი პროგრამების<br>შესრულებას, დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებას,<br>ქრისტიანული ხელოვნებისა და ხალხური რეწვის დარგების შესწავლა-დაუფლებას.<br>სკოლას შემუშავებული აქვს მისია, რომელიც ორიენტირებულია დასახული მიზნების<br>მიღწევაზე. კერძოდ, |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------
---------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სკოლის მისიაა: ხარისხიანი ზოგადი განათლების მისაღებად მოსწავლის პოტენციალის სრულად გამოვლენაზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნა; ისეთი<br>სასიცოცხლო უნარების გამომუშავება, რომელიც წინაპირობაა უმაღლეს სასწავლებელში<br>სწავლის გასაგრძელებლად ან შრომით ბაზარზე სწორი არჩევანის გასაკეთებლად.<br>სკოლა ქრისტიანული პედაგოგიკისა და სწავლების თანამედროვე ინოვაციური<br>მეთოდების ურთიერთშერწყმის გზით ზრუნავს ცოდნის შეძენის, მისი ადექვატურად<br>გამოყენების, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების, ინტელექტუალური თუ<br>ფიზიკური შესაძლებლობების, თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური მიდრეკილებების<br>გამოვლენისა და განვითარების, ქრისტიანული ზნეობისა და სულიერების აღორძინებისათვის.<br>სკოლის მიზანია, აღზარდოს ანალიტიკურად მოაზროვნე, შემოქმედებითი, დამოუკიდებელი, კანონმორჩილი, ეთნიკური, ენობრივი თუ რელიგიური მრავალფეროვნებისადმი პატივისცმცემელი, საზოგადოებრივი პასუხისმგებლობისა და<br>დემოკრატიული პრინციპებისადმი საღი დამოკიდებულების მქონე, ეროვნული<br>ღირებულებისა და ბუნებრივი გარემოს დამცველი მოქალაქე. |

**VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი** (ასეთის არსებობის შემთხვევაში)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა | |

IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| | | |
|---|---|---|
| მოსწავლეთა რაოდენობა: -----------200--- | ექსპერტი ეთანხმება ☒ | აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)* |
| | ექსპერტი არ ეთანხმება ☐ | |

X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

## 1. საგანმანათლებლო პროგრამები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------
---------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -------------------

ბ.ა.

| 1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლამ წარმოადგინა 2019-2020 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია 08.09.2019 წელი, პედსაბჭოს ოქმი 1.<br>სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილები:<br><br>1. სკოლის პროფილი 2. სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავება 3. სკოლის მისია 4. სწავლა-სწავლების პრინციპები 5. სასწავლო პროცესის ორგანიზება, აკადემიური კალენდარი და გაკვეთილების<br>განრიგი 6. ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო<br>და სააღმზრდელო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა 7. სასკოლო საათობრივი ბადე 8. შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა კლასებისა და საგნების მიხედვით 9. გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ნუსხა და სასწავლო მასალის ჩამონათვალი 10. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების<br>მქონე მოსწავლეთათვის 11. მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების პრინციპები 12. სადამრიგებლო პროგრამა<br>დანართები:<br>1. სკოლის შინაგანაწესი 2. საათობრივი ბადე, შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა კლასებისა და საგნების<br>მიხედვით 3. გაკვეთილების ცხრილი 4. სკოლის მიერ არჩეული სახელმძღვანელოები 5. მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება 6. ინკლუზიური განათლება 7. სასკოლო სასწავლო გეგმის გადახედვისა და გაუმჯობესების მექანიზმები .<br>ზოგიერთ შეთხვევაში სასკოლო სასწავლო გემაში და დანართებში მოცემული ინფორმაცია იმეორებს ერთანეთს, რაც გეგმას ცოტა რთულად აღსაქმელს ხდის.<br>დღის რეჟიმის მიხედვის სასწავლო პროცესი 9:00 წუთზე იწყება. გაკვეთილების ხანგრძლივობა კლასების მიხედვით შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. გაკვეთილებს შორის შესვენება 5წუთია, მესამე გაკვეთილის შემდეგ 10 წუთიანი შესვენებაა.<br>სასკოლო სასწავლო გეგმის საათობრივი ბადე ითვალისწინებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ ყველა აუცილებელ დატვირთვას გარდა პირველ კლასში ისტ-ის სწავლებისა, |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ____

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | დამატებით სააღმზრდელო მომსახურების გაწევის მიზნით, დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისათვის (I-IV კლასები) სასწავლო დღე გრძელდება 1630<br>საათამდე. აღნიშნულ კლასებში დამხმარე პედაგოგის (აღმზრდელის) მეთვალყურეობით,<br>ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, მიმდინარეობს მეცადინეობა დამატებითი<br>სააღმზრდელო მომსახურების ფარგლებში რაც ძირითადად საშინაო მომზადების დახმარებაში გამოიხატება.<br>ამასთან სავალდებულო საგნის სტატუსით I-XII კლასებში ისწავლება საღმრთო სჯული, კვირაში 2 სთ.<br>არჩევითი საგნების სტატუსით X კლასში ისწალება საგანი , „ფოლკლორი“, XI კლასში სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით ისწავლება საგანი „სამედიცინო ბიოლოგია და ჯანმრთელობა“, თუმცა ჟურნალში მოცემულია საგანი „გეოგრაფიული კვლევა“ და ისწავლება ეს საგანი, რაც დამტკიცდა მასწავლებლებთან გასაუბრებით (დანართი 1. საათობრივი ბადე),, XII კლასში ისწავლება „სამედიცინო ბიოლოგია და ჯანმრთელობა“.<br>სასკოლო სასწავლო გეგმით არჩევით საგნებში მოსწავლეები ფასდებიან ჩათვლის სისტემით, რაც შეესაბამება ეროვნული საწავლო გეგმის 31 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს, მაგრამ ყველა კლასში არჩევით საგნებში არის გამოყენებული განმსაზღვრელი შეფასება და მოსწავლეებს ნიშნები უწერია როგორც შემაჯამებელ სამუშაოებში,მიმდინარე ნიშნები, ასევე სემესტრული და წლიური შეფასება (დანართი 2.მე-11 კლასის საკლასო ჟურნლი).<br>სასკოლო სასწავლო გეგმაში და საკლასო ჟურნალებში საგნების დასახელება რიგ შემთხვევაში არ ემთხვევა ერთმანეთს. მაგ., მე-7 კლასის ჟურნალში მოცემულია საგანი „გალობა“, ბადეში საგანი „მუსიკა“, მასწვლებლის მიერ წარმოდგენილი კალენდარული გეგმა შეესაბამება მუსიკის თემატურ გეგმას (დანართი 3. მე-7 კლასის საკლასო ჟურნალი).<br>დამატებითი კლასგარეშე წრეებია:<br> ხალხური რეწვა<br> ქართული ხალხური ცეკვა<br> გალობა<br> ხალხურ საკრავები<br> ხალხური სიმღერები.<br>სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია კლასისა და საფეხურის დაძლევის ბარიერები, წლიური და საშემოდგომო გამოცდის ჩატარების |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------
------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | წესები. სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია შემაჯამებელი დავალებების აღდგენის პრინციპები.<br>სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია დამრიგებლის საქმიანობის მიზნები და ამოცანები, ფუნქცია-მოვალეობები, დამრიგებლის სააღმზრდელო მუშაობის პრინციპები და საქმიანობა.<br>სასკოლო სასწავლო გემაში მოცემულია მე-9 და მე-11 კლასებში სკოლის მიერ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირების მიერ პროფესიული ორიენტაციის ჩატარების განრიგი. ასევე პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის პროგრამით გათვალისწინებული სხვა აქტივობების განრიგი.<br>სასწავლო პროცესის სრულყოფისა და კოორდინაციის მიზნით სკოლაში შექმნილია<br>შემდეგი საგნობრივი ჯგუფების კათედრები:<br>1. ქართული ენა და ლიტერატურა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა<br>2. მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრა<br>3. უცხო ენების კათედრა<br>4. სპორტისა და ესთეტიკური აღზრდის კათედრა.<br>კათედრების ფუნქციები განსაზღვრული სასკოლო სასწვლო გეგმით. ექსპერტთა ვიზიტის დროს მიმდინარეობდა ახალი სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტზე მუშაობა |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 2019-2020 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>სკოლის დირექციის წევრებთან ინტერვიუ |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| 1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სასკოლო სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს ბაზისური საგნობრივი ცოდნის შეძენას,პრაქტიკული გამოყენების უნარ-ჩვევების, მოსწავლის აზროვნების,განვითარების ჩამოყალიბებას, ქრისტიანული ზნეობითა და პასუხისმგებლობით აღსავსე მოქალაქის აღზრდას.<br>სკოლაში არსებული კათედრების თავმჯდომაეების პორტფოლიოებში მოცემულია შემაჯამაბელი დავალებების ნიმუშები. უნდა აღინიშნოს, რომ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------
------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | შემაჯამაბელი დავალებები ერთფეროვანია და მოიცავს ტესტურ დავალებებს, რაც გასათვალისწინებელია მომავალში.მოსწავლეთა უნარების ჩამოყალიბებაზე არის გათვლილი ის აქტივობები, რომლებსაც ახორციელებს ზოგიერთი მასწავლებელი, მაგ გეოგრაფიის, ინგლისური ენის მასწავლებლები. მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სწავლების დროს ნაკლებად იყენებენ თანამედროვე ტექნოლოგიებს და მეთოდიკებს. თუმცა სკოლამ კარგად გაართვა თავი დისტანციურ სწავლებას.<br>მასწავლებლების პორტფოლიოებში არის განთავსებული მასალა გაკვეთილებზე განხორციელებული პროექტების შესახებ. ეს მასალა არ არის ხელმისაწვდომი ყველასათვის, რადგან არ არის განთავსებული სკოლის ვებ-გვერდზე, ხოლო სკოლას არ აქვს ფეისბუკ-გვერდი, სადაც განათავსებდა შესაბამის ინფორმაციას.კლასის დამრიგებლების პორტფოლიოები ნაკლებად შეიცავს ინფორმაციას ჩატარებული ღონისძიებების შესახებ.<br>მოსწავლეებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ მოსწავლეები ძირითადათ მონაწილეობენ მასწავლებლების მიერ დაგეგმილ და შემოთავაზებულ ღონისძიებებში, რადგან სკოლაში არ არის მოსწვლეთა რაიმე გაერთიანება. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 2019-2020 წლის სკოლის სასწავლო გეგმით,<br>•ინტერვიურებით სკოლის მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან,<br>•მასწავლებლების, დამრიგებლებისა და კათედრის ხელმძღვანელების პორტფოლიოებით |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სასკოლო სასწავლო გეგმაში შემუშავებულია ინკლუზიური განათლების პრინციპები, რომლის ფარგლებში სსსმ მოსწავლის სკოლაში არსებობის შემთხვევაში, სკოლა გეგმავს ინდივიდუალური/მოდიფიცირებული სასწავლო გეგმის შემუშავებას, თუმცა არ არის გაწერილი კონკრეტული აქტივობები. დღეისათის სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 2019-2020 წლის სკოლის სასწავლო გეგმით. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • მშობლებთაან გასაუბრებით. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სასკოლო სასწავლო გეგმაში აღწერილია მოსწავლეთა შეფასების სისტემა, რომელიც მოიცავს შეფასების მიზნებსა და ამოცანებს, განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას, საგნის სემესტრული ნიშნების შემადგენელ ნაწილებს. ეს პუნქტები შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან.<br>დაწყებითი საფეხურის მოსწავლეების მშობლებთან ინტერვიურებით ირკვევა რომ მასწავლებლები დაწყებით საფეხურზე იყენებენ განმავითარებელ შეფასებას. საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეების განმარტებით, პედაგოგები მათ წინასწარ აცნობენ შემაჯამებელი სამუშაოს ჩატარების დროს, ფორმასა და შეფასების კრიტერიუმებს, თუმცა მოსწავლეთა განმარტება შეფასების კრიტერიუმებზე ბუნდოვანი იყო.<br>სასკოლო სასწავლო გეგმას დანართის სახით ერთვის შეფასების რუბრიკების ნიმუშები სხვადასხვა აქტივობისთვის და შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა კლასების მიხედვით. ის თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზრვრულ შემაჯამებელი დავალებების მინიმალურ რაოდენობასთან.<br>შეფასების სისტემა განსაზღვრავს ქულების გაანგარიშების წესს, კლასისა და საფეხურის დაძლევის ბარიერებს, გამოცდების ჩატარების წესს. საგნობრივი კათედრების თავმჯდომარეების პორტფოლიოებში განთავსებული შეფასების რუბრიკებში მოსწავლეთა შეფასება ქულების მიხედვით არის კრიტერიუმების მიხედვით შემდეგი: 1-4 ქულა, 5-6, 7-8, 9-10 ქულა.ამავე დროს ზოგიერთ მასწავლებელს შემუშავებული აქვს კონკრეტული აქტივობების შეფასების რუბრიკები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს.<br>სკოლას განსაზღრული აქვს არჩევითი საგნების შეფასება ჩათვლის სისტემით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 2019-2020 წლის სკოლის სასწავლო გეგმით,<br>• ინტერვიურებით სკოლის მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან, მასწავლებელთა და კათედრის თავმჯდომარეების პორტფოლიებით;<br>• ინტერვიურებით მშობლებთან |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------

---------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას არ აქვს ცალკე შემუშავებული მშობლის ინფორმირების წესი. მშობლებთან გასაუბრების შდეგად დადგინდა,რომ მასწავლებლები ახდენენ მშობლებთან სატელეფონო კომუნიკაცის. მშობელთან ურთიერთობის წესი განსაზღვრულია სკოლის შინაგანაწესში.<br>მუხლი 34. მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან კომუნიკაციის ფორმები და პერიოდულობა<br>34.1. სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისა და ადმინისტრაციულ-სამეურნეო საქმიანობის შესახებ მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს ინფორმაცია მიეწოდება საკლასო კრებებზე, საინფორმაციო დაფაზე განთავსებით ან ინტერნეტრესურსებით.<br>34.2. მშობელთა სავალდებულო კრება ტარდება სასწავლო წლის დასაწყისში და ყოველი სემესტრის ბოლოს.<br>34.3. მოსწავლის პირად ინფორმაციასთან დაკავშირებით, დამრიგებელი ან ადმინისტრაციის წევრი პირადად ხვდება მშობელს.<br>34.4. მშობლისთვის ინფორმაციის მიწოდება უნდა იყოს პოზიტიურიდან პრობლემისკენ მიმართული. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | შინაგანაწესი;<br>მშობლებთან ინტერვიუ |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო სასწვლო გეგმის შეფასების და შემდგომი გაუჯობესების მექანიზმი სასკოლო სასწავლო გეგმის დანართის სახით,სადაც მოცემულია მონიტორინგის და შეფასების სახეები და წყაროები.<br>მონიტორინგი და შეფასება<br> მონიტორინგი ხორციელდება სასწავლო პროცესზე და მოსწავლეთა შედეგებზე.<br> შეფასება - მონიტორინგის შედეგზე დაყრდნობით ხდება სასწავლო პროცესის ანალიზი. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სააღმზრდელო პროცესის მონიტორინგი<br>ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნობრივი სტანდარტის მიღწევების მონიტორინგი<br>მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მონიტორინგი<br>სასკოლო გარემო და სკოლის საერთო კულტურა<br>მონაცემთა შეგროვების წყაროები<br>მონაცემთა შეგროვების წყაროებია:<br>შედეგების ანალიზები<br>სამუშაო შეხვედრები<br>მშობელთა კრებები<br>პირადი შეხვედრები<br>ანკეტირებები<br>თითოეული საგნის გაწერილი პროგრამები .<br>მოცემულ დოკუმენტში არ არის გაწერილი აქტივობების ჩატარების ვადები. სკოლას არ აქვს დასრულებული და გაანალიზებული რომელიმე კონკრეტული მონიტორინგის შედეგი.<br>. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | დანართი №7<br><br>სასკოლო სასწავლო გეგმის გადახედვისა და გაუმჯობესების მექანიზმები ;<br>სკოლის დირექციასთან ინტერვიურებით |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | სასკოლო სასწავლო გეგმის შედგენისას ყურადღება მიექცეს სკოლის საათობრივი ბადის და კლასების მიხედვით მოცემული საათობრივი ბადის ჟურნალში მოცემული საგნის შესაბამისობას;<br>-სასკოლო სასწავლო გეგმის შედგენის დროს გაითვალისწინოს ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემული სასკოლო სასწავლო გეგმის შედგენის ნაწილები და სტრუქტურა;<br>-ყურადღება მიაქციოს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნას შემაჯამებელი დავალებების მრავალფეროვნების შესახებ; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------
------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | -სადამრიგებლო პროგრამის შემუშავების დროს გაითვალისწინოს მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებანი და ისე დაგეგმოს აქტივობები, შესთავაზოს მოსწავლეებს განსხვავებული ღონისძიებები;<br>-ყურადღება მიექცეს შეფასების რუბრიკების შესაბამისობას ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ მოსწავლეთა შეფასების დონეების მიმართ, ქულების შესაბამისობას მოცემულ კრიტერიუმებთან |
| რჩევები: | არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. |
| ხარვეზები: | ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში |
| სტანდარტის შეფასება | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

## 2. მატერიალური რესურსი

| 2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: | |
|---|---|
| **ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი: 3935 კვ.მ** | |
| **დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას გააჩნია სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული ,სასწავლო და სააღმზრდელო მუშაობისთვის შესაბამისი ფართი, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე.<br>სკოლა შედგება ოთხი შენობისგან - ერთი ადმინისტრაციული და სამი სასწავლო კორპუსი. შენობების მდგომარეობა დამკამაყოფილებელია. სასწავლო დაწესებულებას აქვს კეთილმოწყობილი ეზო სველი წერტილებთ, მათ შორის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------
------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ადაპტირებული სველი წერტილით. ეზო კონტროლდება სამეთვალყურეო კამერებით. სველი წერტილებია ადმინისტრაციულ შენობაშიც. შენობა - ნაგებობების საერთო ფართი შეადგენს 913,49 კვ.მ. სასწავლო კორპუსები აღჭურვილია სასწავლო პროცესისთვის შესაბამისი და საჭირო ინვენტარით და საინფორმაციო , საკომუნიკაციო ტექნოლოგიბით. სკოლას უწყვტად მიეწოდება ელ.ენერგია, საკლასო ოთახებში არის ბუნებრივი განათების შესაძებლობა. |
| *ფაქტობრივი მისამართი* | **ქ. მცხეთა ,წერეთლის ქ N27** |
| *მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი* | **72.07.08.40** |
| *კვ.მ.* | **3935.00 კვ.კმ** |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები | ამონაწერი საჯარო რეესტრიდან 29.03.2019 წელი<br>მესაკუთრე - საქართველოს საპატრიარქო; |
| შეფასება | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| ზ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ოთხი შენობიდან , სამ შენობაში, ხოლო ერთ შენობაში, რომელიც ორ სართულიანია, განთავსებულია - სამასწავლებლო, დირექტორის კაბინეტი, ბიბლიოთეკა და ისტ-ის ლაბორატორია. სასწავლო შენობები ერთსართულიანია.<br>**სასწავლო შენობა N1** - განთავსებულია ინკლუზიური განათლების ოთახი,დარბაზი სხვადასხვა ღონისძიებებისთვის და ოთხი საკლასო ოთახი.<br>**შენობა N2** - განთავსებულია ოთხი საკლასო ოთახი, შენობის ბოლოს განლაგებულია საპირფარეშოები გოგონებისთვის და ბიჭებისთვის და ერთი ადაპტირებული სველი წერტილი. ამავე შენობაში განთავსებულია ოთახი, რომელშიდაც განთავსებულია საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. და სამედიცინო კაბინეტი.<br>**შენობა N3** - განთავსებულია სამი საკლასო ოთახი.<br>სამივე შენობაში საკლასო ოთახები აღჭურვილია ინდივიდუალური მერხებით და სკამებით. ყველა საკლასო ოთახში არის სასკოლო სტანდარტული დაფები და მაგნიტური დაფები და თაროები/ კარადები და თვალსაჩინოებები.საკლასო |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------
------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ოთახებში არსებული მერხების და სკამების რაოდენობა შეადგენს 175 -ს. მერხების დარჩენილი რაოდენობა (29 მერხი განთავსებულია ინკლუზიური განათლების ოთახში, საწყობში და სამედიცინო კაბინეტში. (ინდივიდუალური მერხების და სკამების რაოდენობა სულ - 204 ) საკლასო ოთახებში განთავსებული ინვენტარი იძლევა საშუალებას სწავლა - სწავლების პროცესის წარმართვისთვის. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | საინვენტარო ფორმა - შედგენილი 2019 წლის 4 აპრილს<br>სასაქონლო ზედნადებები - 16.04.19 წელი<br>სასაქონლო ზედნადები - 28.12.18 წელი<br>ხელშეკრულება ,შპს" ელიტ კომპიუტერ სისტემს" -05.09.2013 წელი ; 23.09.2014 წელი<br>ხელშეკრულება ინდ.მეწარმე ,,დავით ბრეგაძე''- 10.08.10 წელი;<br>ვიზულური დათვალიერება |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას აქვს დარბაზი, როელსაც იყენებს სხვადასხვა სპორტული აქტივობებისთვის, ( მაგიდის ჩოგბურთი და სხვა) გარდა ამისა შენობის ეზოში განთავსებულია კალათბურთის ერთფარიანი მოედანი. სკოლას შეთანხმება აქვს მცხეთის მუნიციპალიტეტთან, რომლის საფუძველზეც სარგებლობს სკოლის ტერიტორიასთან განთავსებული სპორტული მოედნით. (დანართი 4. შეთანხმება ქ. მცხეთის მუნიციპალიტტთან). სკოლას აქვს სპორტის გაკვეთილებისთვის აუცილებელი ,შესაბამისი სპორტული ინვენტარი.<br>ჩვენი ვიზიტის პერიოდში სკოლის ეზოში მიმდინარეობდა სპორტული დარბაზის მშენებლობა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | სკოლის ინვენტარიზაციის ფორმა;<br>ზედნადებები;<br>მცხეთის მუნიციპალიტეტის თანხმობის წერილი N2787-2 20 ტებერვალი 2020 წელი.<br>ვიზუალური დათვალიერებით; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------

------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შენობა N2 გამოყოფილია ოთახი სადაც განთავსებულია საბუნებისმეყველო ლაბორატორის სრული აღჭურვილობა,(208 ერთეული დასახელება) ოთახს აქვს სველი წერტილი ,პატარა ფანჯარა და ორი გასასვლელი, ერთი ეზოში და მეორე უშუალოდ საკლასო ოთახში,რომელიც ჩვენი ვიზიტის დროს განკუთვნილი იყო მესამე კლასელი მოსწავლეებისთვის.ოთახს აქვს მცირე ზომის ფანჯარა, არ არის შესაძლებლობა განთავსდეს მერხები მოსწავლეთათვის ექსპერიმენტის ჩასატარებლად. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | ვიზუალური დათვალიერებით;<br>ხელშეკრულება - 12.08.2014 წელს გაფორმებული ხელშეკრულება ,,შპს ინსტა - ჯორჯია“<br>ზედნადები - 3.12.2018 წელი ლაბორატორიული აღჭურვილობის შეძენა; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლა უზრუნველყოფილია წყლისა და ელექტროენერგიის , ბუნებრივი აირის უწყვეტი მიწოდებით, შენობაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობა. სკოლას აქვს საპირფარეშო გოგონებისთვის და ბიჭებისთვის თითოეულ საპირფარეშოში სამ-სამი კვანძია, სკოლაში არის ადაპტირებული საპირფარეშო და სველი წერტილი, სკოლის შიდა და გარე პერიმეტრზე დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | გადახდის ქვითრები;<br>ანგარიშ-ფაქტურები;<br>ვიზუალური დათვალიერებით; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------

------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| 2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის ადმინისტრაციული შენობის მეორე სართულზე განთავსებულია ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკაში არის მაგიდა სკამები, საგამოფენო დაფა, ქსეროქს- სკანერი. დოკუმენტურად დასტურება, რომ სკოლაში არის 1965 წიგნი., რომელიც განლაგებული ანბანურად კატალოგის მიხედვით.(საკითხავი ლიტერატურა)<br>ბიბლიოთეკაში დევს ყველა საგანში (I-XII კლასი) კლასების მიხევით გრიფირებული სახელმძვანელობის ერთი ეგზემპლარი. ბიბლიოთეკაში განთავსებულია ერთი ლეპტოპი და პროექტორი სხვადასხვა აქტივობებისთვის./ღონისძიებებისთვის. შემუშავებულია დებულება, ბიბლიოთეკის მუშაობის გეგმა. აწარმოებენ ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნს.<br>სკოლას ბიბლიოთეკისთვის შეძენილი აქვს ელექტრონული სახელმძვანელოები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | ვიზუალური დათვალიერებით;<br>ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნით;<br>მიღება- ჩაბარების აქტები;<br>სკოლის ინვენტარიზაციის ფორმა;<br>ინვოისი N30 12.02.2019 წელი., ,, განათლება და ახალი ტექნოლოგიები“-ელექტრონული სახელმძღვანელობის შეძენა; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის/ მოსწავლეებისთვის სკოლის ორ შენობას აქვს ადაპტირებული კიბეები, ერთ-ერთი ადაპტირებული კიბე არის იმ შენობაში, რომელშიდაც ინკლუზიური განათლების ოთახია განთავსებული, მეორე ადაპტირებული კიბე განთავსებულია ერთ-ერთ სასწავლო კორპუსთან. სკოლას აქვს ასევე |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------
------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მოძრავი პანდუსები, რომელიც იძლევა შშმ პირებისთვის თავისუფლად გადადგილების შესაძლებლობას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | ვიზუალური დათვალიერება |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის სკოლას აქვს ისტ- ის ლაბორატორია, რომელიც უზრუნველყოფილია ინტერნეტით , სკოლაში არის სულ 11 კომპიუტერი და ერთი ლეპტოპი, ორი პრინტერი და პროექტორი. (სპეციფიკაციები, ერთი კომპიუტერი 20 მოსწავლეზე)<br>სკოლას აქვს ვებ გვერდი -atormet-mociquli.ge . სკოლის ვებ გვერდზე გამოქვეყნებულია, სკოლის შინაგანაწესი და სასკოლო სასწავლო გეგმა, ასევე სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია. სკოლის ადმინისტრაცასთან გასაუბრების დროს აგვიხსნეს რომ სკოლის ვებგვერდზე არ აქვთ გამოქვეყნებული სკოლაში ჩატარებული აქტივობები და განხორციელებული სხვადასხვა ტიპის ღნისძიებების ამსახველი მასალა, მოსწავლეთა კიბერბულინგისაგან თავდაცვის მიზნით. შესაბამისად სკოლის ვებ გვერდზე მოცემულია ზოგადი ინფორმაცია სკოლის შესახებ. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | ვიზუალური დათვალიერება;<br>სასაქონლო ზედნადები;<br>მიღება-ჩაბარების აქტები<br>ხელშეკრულება<br>გადახდის ქვითრები<br>სოლის ინვენტარიზაციის ფორმა |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: --------------------
--------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| 2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | |
| ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას შემუშავებული აქვს ხანძარსაწინააღმდეგო და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები, ინვენტარი - ხანძარსაწინააღმდეგო ფარი, ცეცხლმაქრი (ოთხი ) |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | ვიზუალური დათვალიერებით |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | .ვიზუალური დათვალიერებისას გაირკვა, რომ საევაკუაციო გეგმა არ შეესაბამებოდა მოთხოვნილ სტანდარტებს. თუმცა აღნიშნული ხარვეზი ჩვენი იქ ყოფნის პერიოდში გამოსწორებული იქნა, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი ხელშეკრულება და ინვოისი ახალი საევაკუაციო გეგმის შედგენასთან დაკავშირებით. (დანართი 5. ხელშეკრულება,ზედნადები) |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | ვიზუალური დათვალიერებით;<br>ხელშეკრულებით - 25.06.2020 წელი შპს ,,უსაფრტხოების გარანტი" |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის ერთ-ერთ შენობაში განთავსებულია სამედიცინო კაბინეტი, რომელიც არჭურვილია პირველადი დახმარების მედიკამენტებით. სკოლას ჰყავს ექთანი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში სკოლის მოსწავლეებსა და მომსახურე პერსონალს უწევს პირველად დახმარებას. ვიზუალური დათვალიერებისას ვნახეთ ექთნის ჩანაწერები სამედიცინო კაბინეტში შემოსული მოსწავლეების მონაცემების შესახებ,სადაც |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----------------
-----------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | **აღწერილი იყო მოსწავლეთა ჩივილები და ინფორმაცია მიღებული მედიკამენტების შესახებ.** |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | ვიზუალური დათვალიერება;<br>ხელშეკრულება<br>ზედნადები - 26.10.2018 წელი სამედიცინო აღჭურვილობის შეძენა შპს ,,ქინაქინა“ |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | **წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, სკოლას გამოყოფილი ყავს პასუხისმგებელი პირი. სკოლის მიერ განსაზღვრულია მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი. რომლებიც მორიგეობენ სკოლის ყველა კორპუსთან. სკოლას შემუშავებული აქვს წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც შეესაბამება საქართველოს განათლების,მეცნიერების ,კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ ნ ბრძანებას, მაგრამ არ არის შეთანხმებული განათლების სამინისტროსთან.** |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | გასაუბრება;<br>ხელშეკრულება<br>სკოლის შინაგანაწესი; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს** | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------
----------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის ვიზულური დათვალიერების და დოკუმენტაციის შემოწმებისას სკოლის ბალანსზე იყო სამი სამეთვალყურეო კამერა, რომელთაგან ერთი აკონტროლებდა გარე პერიმეტს, ხოლო ორი კამერით სკოლის შიდა ტერიტორიის სრული კონტროლი ვერ ხდებოდა. ჩვენი ადგილზე ვიზტის პერიოდში აღნიშნული ხარვეზი გამოსწორებული იქნა, სკოლის მიერ გაფორმდა ხელშეკრულება დამატებითი კამერების განთავსებასთან დაკავშირებით, რის შემდეგაც სკოლის შიდა პერიმეტრზე განთავსდა დამატებით სამი კამერა.დამატებითი კამერების საშუალებით კონტროლდება სკოლის სათადარიგო შესასვლელი და შიდა პერიმეტრი სრულიად. დამონტაჟებული კამერები სრულიად შეესაბამება 2007 წლის N1143 ბრძანების მიხედვით განსაზღვრულ მოთხოვნებს. (დანართი 5. სამეთვალყურეო კამერების შეძენის და დამონტაჟების ხელშკრულება) |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | ვიზუალური დათვალიერება;<br>მიღება ჩაბარების აქტი 26.06.20 წელი<br>ზენადები ;<br>საინვენტარო ფორმა; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებული აქვს სკოლის წესდება და შინაგანაწესი, რომელიც განხილული და დამტკიცებულია პედაგოგიურ საბჭოზე.შინაგანაწესი არეგულირებს გადაწყვეტილების მიღების,საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურებს. მოსწავლეთა მიღების პროცედურებს და კლასიდან კლასში გადაყვანას.<br>შინაგანაწესში არსებობდა მცირე უზუსტობები, როლებიც ჩვენი იქ ყოფნის პერიოდში იქნა გასწორებული. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | სკოლის შინაგანაწესი;<br>წესდება ; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: --------------------

--------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| 2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის მისიიდან გამომდიარე, ასევე ადამიანური და მატერიალური რესურსების საფუძველზე სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის განვითარების ერთწლიანი და ექვსწლიანი სამოქმედო გეგმა , რომელშიც წარმოდგენილია დაგეგმილი საქმიანობების განხორციელების კალენდარი. სკოლას ორიენტირი აქვს ისტ- ლაბორატორიები აღჭურვოს თანამედროვე ტექნოლოგიებით, განაახლოს საკლასო ოთახები, როგორც ვიზუალურად ასევე სასწავლო ინვენტარით,კიდევ უფრო კეთილმოწყობილი გახადოს სკოლის ეზო და სამედიცინო კაბინეტი. სასურველია სტრატეგიულ განვითარების გეგმაში , კიდევ უფრო მეტი ყურადღება იქნეს დათმობილი მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე და სწავლა სწავლების ხარისხის გაუმჯობესების გზებზე. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | ერთწლიანი სამოქმედო გგმა<br>ექვსწლიანი სამოქმედო გეგმა<br>ადმინისტრაციის წევრებტან გასაუბრება; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლა აწარმოებს გამოცემული ბრძანებების, შემოსული და გასული კორესპონდეციების აღრიცვის ჟურნალს. რეგისტრაციაში ტარდება ყველა გამოცემული აქტი. შემოსული და გასული დოკუმენტაცია. ოფიციალური წერილები და სკოლის მიერ გამოცემული აქტები ფორმდება სპეციალურ ბლანკზე სადაც მითითებულია სკოლის შესახებ ინფრმაცია. სკოლას არ ყავს საქმის მწარმოებელი, შესაბამისად დოკუმენტაციის წარმოებაზე პასუხიმგებელია დირექტორის მოადგილე. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | საკადრო და საერთო ბრძანებები;<br>ხელშეკრულების ჟურნალები; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------

---------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | -სკოლამ მოახარხოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისათვის უფრო დიდი ფართის და დიდი ზომის ფანჯრის ადაპტირებული ოთახის გამოყოფა<br>-მოხდეს წესრიგის დაცვის მექანიზმების შეთანხმება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან მოთხოვნის შესაბამისად.<br>-მოსწავლეთა ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, თვალსაჩინო ადგილას იქნას გამოკრული პირველადი დახმარების და ჰიგიენის დაცვის წესები. |
| რჩევები: | არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. |
| ხარვეზები: | ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში |
| სტანდარტის შეფასება | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

## 3. ადამიანური რესურსი

| 3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებულ სკოლის საშტატო განრიგის მიხედვით, სკოლაში მუშაობს 41 თანამშრომელი,მათ შორის 28 ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.<br>დირექტორი,<br>2 დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში,<br>დირექტორის მოადგილე აღმზრდელობით დარგში.<br>ასევე საშტატო განრიგის მიხედვით სკოლაში მუშაობს:<br>• ბუღალტერი,<br>• ბიბლიოთეკარი,<br>• 2 დამლაგებელი,<br>დარაჯი,<br>ექთანი, |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------
------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მნე;<br>მეეზოვე;<br>2 მზარეული;<br>5 საკვირაო სკოლის მასწავლებელი ( წრის ხელმძღვანელი)<br>4 აღმზრდელ-მასწალებელი<br>სკოლაში მომუშავე პედაგოგებიდან ყველა ძირითადი მასწავლებელია, აქედან 25 მასწავლებელი არის ჩართული „პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემაში", სქემაში არ არის ჩართული 2 საღმრთო სჯულის მასწვლებელი და 1 ქართული ენის და ლიტერარურის მასწავლებელი |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | -მართვის საინფორმაციო სისტემიდან ამოღებული თანამშრომელთა სიით<br>• -სკოლის საშტატო განრიგით<br>- მასწავლებელტა პირადი საქმეებით |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ | |
|---|---|
| პედაგოგთა საერთო რაოდენობა | 28 |
| მოწვეული/მაძიებელი | |
| პრაქტიკოსი მასწავლებლი | 7 |
| უფროსი მასწავლებლი | 18 |
| წამყვანი მასწავლებლი | |
| მენტორის სტატუსი | |

| 3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | დაწესებულებამ წარმოადგინა მასწავლებელთა პირადი საქმეები, რომლებიც შეესაბამება არსებულ კანონმდებლობას, |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | -მასწავლებლების პირადი საქმეებით. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------
------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის შინაგანაწესში, რომელიც დამტკიცებულია 2019 წლის 08.09., პედსაბჭოს ოქმი 1, განსაზღვრულია მასწავლებლების შერჩევის ,მიღებისა და გათავისუბლების წესი.<br>თავი V. შრომითი ურთიერთობების წარმოშობა და პირობები<br>მუხლი 9. წინასახელშეკრულებო ურთიერთობა<br>9.1. შრომითი ურთიერთობის გაფორმებამდე კანდიდატი ვალდებულია, სკოლაში წარადგინოს: ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; ბ) განცხადება სამსახურში მიღების თაობაზე; გ) ავტობიოგრაფია/CV; დ) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი ნოტარიულად დამოწმებული ე) სერთიფიცირებული პედაგოგის შემთხვევაში შესაბამისი სერთიფიკატის ასლი; ვ) შრომის წიგნაკი ან ცნობა ადრინდელი შრომითი საქმიანობის შესახებ.<br>მუხლი 10. სკოლაში მასწავლებლის/თანამშრომლის მიღება<br>10.1. სამუშაოდ მიღებულ ყველა თანამშრომელთან ფორმდება შრომითი ხელშეკრულება კანონმდებლობით დადგენილი წესით. 10.2. მოქმედი კანონმდებლობით, შესაძლებელია მუშაკის გამოსაცდელი ვადით (3 თვიდან 6 თვემდე) მიღება სამუშაოზე. გამოსაცდელი ვადა და პირობები მითითებული უნდა იყოს შრომით ხელშეკრულებაში. 10.3. სკოლაში მიღებულ მასწვლებელზე, თანამშრომელზე იხსნება პირადი საქმე, რომელშიც ინახება:  საკადრო აღრიცხვის ფურცელი.  პირადობის მოწმობის ასლი.  განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, ნოტარიულად დამოწმებული  განცხადება სამსახურში მიღების თაობაზე.  ავტობიოგრაფია/CV.  სერთიფიკატის ასლი (არსებობის შემთხვევაში).  დანიშვნის, გადაყვანის, წახალისების, დისციპლინალური სახდელისა და გათავისუფლების შესახებ ბრძანების ასლები.  შრომის წიგნაკის ასლი ან ცნობა ადრინდელი შრომითი საქმიანობის შესახებ.  ცნობა ნასამართლეობის შესახებ.<br>10.4. მუშაკის სამუშაოზე მიღების შესახებ სკოლის დირექტორი გამოსცემს შესაბამის ბრძანებას.<br>10.5. მასწავლებლის შერჩევა ხდება გასაუბრების შედეგად, ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში.<br>თავი VIII. შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------
------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მუხლი 15. დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა<br>15.1. სკოლას შეუძლია დასაქმებულთან შეწყვიტოს შრომითი ხელშეკრულება შემდეგი საფუძვლებით: ა) შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა; ბ) დასაქმებულის მიერ თანამდებობის/სამუშაოს საკუთარი ნებით, წერილობითი განცხადების საფუძველზე დატოვება; გ) ხელშეკრულების პირობების დარღვევის, სააღმზრდელო საქმიანობისათვის შეუფერებელი ქმედების ჩადენის ან კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით არაკვალიფიციურობის დადასტურების შემთხვევაში;<br>15.2. შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას სკოლის დირექტორი ვალდებულია, დასაქმებულთან მოახდინოს საბოლოო ანგარიშსწორება;<br>15.3. დასაქმებულთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა ფორმდება სკოლის დირექტორის შესაბამისი ბრძანებით.<br><br>თავი IX. წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა<br>მუხლი 16. წახალისების ფორმები<br>16.1. შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის, სწავლებასა და აღზრდაში მიღწეული წარმატებისა და პედაგოგიურ საქმიანობაში მოპოვებული სხვა მიღწევებისათვის, სკოლის ადმინისტრაცია იყენებს წახალისების შემდეგ ფორმებს:<br>ა) მადლობის გამოცხადება<br>ბ) სიგელით დაჯილდოება<br>გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება<br>დ)ერთჯერადი პრემია ან ფულადი ჯილდო<br>16.2. დირექტორის მოადგილე უფლებამოსილია, წერილობით მიმართოს სკოლის დირექტორს დასაქმებულის წახალისების მოთხოვნით.<br>16.3. წახალისება ფორმდება დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით და ინახება დასაქმებულის პირად საქმეში.<br>მუხლი 17. პასუხისმგებლობა მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის შინაგანაწესის მოთხოვნათა დარღვევისათვის<br>17.1. სკოლის შინაგანაწესით, შრომითი ხელშეკრულებითა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და მოვალეობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დგება მუშაკის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი.<br>17.2. დასაქმებულის დისციპლინური გადაცდომაა: |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------
------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ა) სამსახურეობრივ მოვალეობათა შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება: დაგვიანება, არასაპატიო მიზეზით გაცდენა, სამსახურის თვითნებური მიტოვება, სასკოლო დოკუმენტაციის უხარისხოდ წარმოება, ზედამხედველობის გარეშე მოსწავლის გაკვეთილიდან გაძევება, სწავლების დაბალი ხარისხი;<br>ბ) სკოლისათვის ქონებრივი ზიანის მიყენება;<br>გ) დასაქმებულის ქმედება, რომელიც ლახავს სკოლის ავტორიტეტს;<br>დ) ალკოჰოლური ან ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ სამუშაოზე გამოცხადება ან მათი სამუშაოზე მიღება;<br>ე) მოსწავლის, მშობლის ან თანამშრომლის შეურაცხყოფა და კონფლიქტის გაღვივება;<br>ვ) სკოლაში თამბაქოს მოხმარება.<br>17.3. დისციპლინური გადაცდომის ჩადენისათვის გამოიყენება დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები:<br>ა) წერილობითი/სიტყვიერი გაფრთხილება<br>ბ) საყვედური<br>გ) სასტიკი საყვედური<br>ე) საგაკვეთილო საათების ჩამორთმევა<br>ვ) სამსახურიდან გათავისუფლება.<br>17.4. დისციპლინალური სახდელის გამოყენება შეუძლია სკოლის დირექტორს, ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის შესაბამისად, ადმინისტრაციის წევრის, კლასის დამრიგებლის, საგნის მასწავლებლის, მშობლის, მოსწავლის ამ სკოლის სხვა თანამშრომლის მიერ წარდგენების (წერილობითი ფორმით) და დარღვევაში შემჩნეული პირის წერილობითი ახსნა-განმარტების ან აქტის საფუძველზე, საკითხის შესწავლის შედეგად.<br>17.5. ბრძანება დისციპლინური პასუხისმგებლობის შეფარდების შესახებ სკოლის მუშაკს უნდა გაეცნოს სამი დღის ვადაში, პირადად. გაცნობის შეუძლებლობის ან გაცნობაზე უარის შემთხვევაში ბრძანება გამოქვეყნდება საჯაროდ.<br>17.6. დისციპლინალური სახდელის მოქმედების პერიოდია ერთი თვე. სახდელის მოქმედების პერიოდში, თუ სკოლის მუშაკი კეთილსინდისიერად ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას, ადმინისტრაციას უფლება აქვს, ვადაზე ადრე მოუხსნას დისციპლინალური სახდელი.<br>17.7. დისციპლინური პასუხისმგებლობის შეფარდების შესახებ სკოლის დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, სასამართლოში. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------
------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მასწავლებლის წახალისება ხდება დირექტორის მოადგილეს წარდგინების საფუძველზე. დისციპლინური გადაცდომის დროს გამოყენებული სანქციების შესაებ გადაწყვეტილებას იღებს სკოლის დირექტორი. სკოლაში არ არსებობს ორგანო,რომელიც განიხილვდა მასწვლებლის წახალისების ან მასწავლებლის მიმართ სანქციების გამოყენების საკითხს.<br>მასწავლებელთა მიღების წესში არ არის გათვალისწინებული ვაკანსიის გამოცხადება მასწვლებელთა სახლის ვებ-გვერდზე და კოკკურსის გამოცხადება, თუმცა არის ხელშეკრულების დადების წინა პერიოდი, სადაც გათვალისწინებულია წარმოსადგენი დოკუმენტაცია |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | -სკოლის შინაგანაწესი;<br>-ინტერვიუ მასწავლებლებთან;<br>-ინტერვიუ სკოლის დირექციასთან |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია ერთწლიანი ხელშეკრულება 2019 წლის 2 სექტემბერს. ხელშეკრულებები გატარებულია ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალში, რომელიც იწყება 2019 წლის 2 სექტებერს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | -სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;<br>-ხელშეკრულებები საღრიცხვის ჟურნალი |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლში არ არის შემუშავებული ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის ერთიანი მექანიზმი. მასწავლებლების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა ხდება კათედრების წევრების |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების და შემდგომი უკუკავშირის შედეგად. მასწავლებლები იყენებენ „კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტს", რამაც ხელი შეუწყო 4 მასწავლებელს სტატუსის ამაღლებაში |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | -საგნობრივი კათედრების თავმჯდომარეების პორტფოლიოები;<br>-მასწავლებლებთან ინტერვიუ |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | მოსწავლეების ინტერვიურებით გამოვლინდა, რომ პედაგოგები ზრუნავენ სწავლების ხარისხზე,მუშაობენ იმისათვის, რომ არც ერთი მოსწავლე არ დარჩეს სასწავლო პროცესის მიღმა. მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ მოსწონთ სკოლა და მასწავლებლების დამოკიდებულება. ამავე დროს მოსწავლეებმა აღნიშნეს ,რომ რამე არასტანდარტული სიტუაციის დროს კონფლიქტის მოგვარება ხდება მოძღვარის(სკოლის დირექტორი) მიერ. სასკოლო ცხოვრების შესახებ საუბრის დროს ძირითადად ყურადღებას ამახვილებდნენ მასწავლებელთა და დირექციის წევრების მიერ შემოთავაზებულ აქტივობებზე, რადგან თვითონ მოსწავლეები ნაკლებად აწვდიან წინადდებებს რაიმე აქტივობის ჩატარების შესახებ<br>პედაგოგებთან გასაუბრებით დადასტურდა მოსწავლეთა მიერ გამოთქმული მოსაზრებები, პედაგოგებმა აღნიშნეს თითოეულ მოსწავლის საჭიროებებზე დაგეგმილი სასწავლო პროცესის შესახებ და სკოლაში თანამშრომლობითი გარემოს არსებობა.<br>მშობლებთან ინტერვიურებით დადგინდა,რომ მოსწონთ სკოლა, კმაყოფილნი არიან სწავლების ხარისხით, ბავშვისადმი დამოკიდებულებით. დარწმუნებულნი არიან საკუთარი შვილების უსაფრთხოებაში. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | მოსწავლეებთან, მშობლებთან, მასწავლებლებთან ინტერვიუ |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------

------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | -გათვალისწინებუ იქნას მასწავლებელთა მიღების დროს ვაკანსიის მასწავლებელთა სახლის ვებ-გვერდზე განთავსების და კონკურსის გამოცხადების აუცილებლობა;<br>-მასწავლებელთა მიმართ წახალისების ან სანქციების გამოყენების პროცესში თანამშრომლების ჩართვის მიზნით შეიქმნას ორგანო,რომელიც განიხილავს მსგავს საკითხებს<br>-სკოლამ შეიმუშაოს მასწვლებელთა პროფესიული განვითარების მექანიზმები |
| რჩევები: | არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. |
| ხარვეზები: | ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში |
| სტანდარტის შეფასება | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

- თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

**XI. თანდართული დოკუმენტაცია**

დანართი 1. საათობრივი ბადე-3 გვერდი
დანართი 2. მე-11 კლ. საკლასო ჟურნალი -2გვერდი
დანართი 3.მე-7 კლ. ჟურნალი- 1გვერდი
დანართი 4 შეთანხმება მცხეთის მუნიციპალიტეტთან-1 გვერდი
დანართი 5. საევაკუაციო გეგმის შედგენის ხელშეკრულება)-5 გვრდი
დანართი 6სამეთვალყურეო კამერების შეძენის და დამონტაჟების ხელშეკრულება-2 გვერდი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

ქ. თბილისი. 22.07. 2020 წ.

(შევსების ადგილი)
თარიღი
გვერდების რაოდენობა 14 გვერდი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: --------------------
--------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.